ოქმი N 3

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომისა

ქ. ხობი

2017 წლის 29 დეკემბერი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

1. ვლადიმერ ქანთარია
2. ნიკოლოზ ვეკუა
3. გოჩა ჯობავა
4. გენადი ქამანაია
5. აკაკი ხურცილავა
6. გოჩა სიჭინავა
7. შადიმან ჭილაია
8. კონსტანტინე ნასარაია
9. კახა ლატარია

სხდომას თავმჯდომარეობდა ვ. ქანთარია - კომისიის თავმჯდომარე.

დღის წესრიგი:

1. ხობის მუნიციპალიტეტის მერის გ. ქაჯაიას 2017 წლის 26 დეკემბრის N02/5907 წერილის განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის ნარჩენების მართვის 2018-2022 წლების გეგმის დამტკიცების შესახებ" განკარგულების პროექტის თაობაზე)

(მომხსენებელი: ვ. ქანთარია - საკრებულოს ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე);

კენჭი ეყარა დღის წესრიგით წარმოდგენილ ვარიანტს

მომხრე - 9 წინააღმდეგი - არც ერთი.

დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით.

დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხის განხილვა

1. ხობის მუნიციპალიტეტის მერის გ. ქაჯაიას 2017 წლის 26 დეკემბრის N02/5907 წერილის განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის ნარჩენების მართვის 2018-2022 წლების გეგმის დამტკიცების შესახებ" განკარგულების პროექტის თაობაზე)

(მომხსენებელი: ვ. ქანთარია - საკრებულოს ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის ნარჩენების მართვის 2018-2022 წლების გეგმის დამტკიცების შესახებ" და კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის მერიის განმარტებით ნარჩენების მართვის გეგმის შემუშავების მიზნით ხობის მუნიციპალიტეტის მერიაში შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომლის მიერ მომზადდა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის ნარჩენების მართვის 2018-2022 წლების გეგმის დამტკიცების შესახებ" ეს დოკუმენტი ადგენს წესს, რომლის მიხედვითაც ხობის მუნიციპალიტეტი განახორციელებს ნარჩენების მართვასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს. გამომსვლელის განცხადებით, მერიის მიერ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მისი წარმოდგენილი სახით გატანა საკრებულოს სხდომაზე შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად.

კომისიის წევრების მხრიდან განსხვავებული აზრი არ წარმოთქმულა.
კომისიის თავმჯდომარე შემოვიდა წინადადებით წარმოდგენილი განკარგულების პროექტი კომისიის დასკვნასთან ერთად წარედგინოს საკრებულოს ბიუროს

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 9 წინააღმდეგი - არც ერთი

დაადგინეს: წარმოდგენილი პროექტი წარედგინოს საკრებულოს ბიუროს სხდომას.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვის შემდეგ სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე ვ. ქანთარია

ვლადიმერ ქანთარია